საქართველოს კომუნიკაციების
ეროვნული კომისია

№ 03/1019-18 « 21 » 03 2018 წ.

შპს „დისქავერი ჯორჯიას“

შეტყობინება

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 95-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის მარეგულირებელი წესების“ 36-ე მუხლის მე-14 პუნქტის შესაბამისად, გატყობინებთ, რომ 2018 წლის 27 მარტს, 15 საათზე, მისამართზე: 0144 ქ.თბილისი, ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. №50/18, გაიმართება საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (შემდგომში „კომისია“) სხდომა, სადაც განიხილება შპს „დისქავერი ჯორჯიასთვის“ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის დაკისრების საკითხი, მის მიერ „მაუწყებლობის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-5 პუნქტის, 45[1] მუხლის მე-10 პუნქტის ა) ქვეპუნქტის, „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2011 წლის N144/22 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ძალადაკარგულად ცნობისა და სტატისტიკური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ კომისიის 2016 წლის 11 თებერვლის N95/19 გადაწყვეტილების, „რეგულირების საფასურის განსაზღვრისა და გადახდის წესის შესახებ“ კომისიის 2005 წლის 28 ოქტომბრის N12 დადგენილების დარღვევის გამო (საფუძველი: კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2018 წლის 21 თებერვლის N შ-10/972-18 მოხსენებითი ბარათი და კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის 2018 წლის 21 მარტის N შ-10/1499-18 სამსახურებრივი ბარათი).

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თარიღია 2018 წლის 21 მარტი. გაცნობებთ, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 98-ე და 99-ე მუხლების შესაბამისად, თქვენ უფლება გაქვთ კომისიაში წარადგინოთ მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით, გაეცნოთ ადმინისტრაციული წარმოების მასალებს, მოითხოვოთ ადმინისტრაციულ წარმოებაში არსებული დოკუმენტების და სხვა მასალების ასლები.

გთხოვთ, უზრუნველყოთ თქვენი უფლებამოსილი წარმომადგენლის მონაწილეობა ადმინისტრაციულ წარმოებაში.

დანართი:

1. კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის 2018 წლის 21 თებერვლის N შ-10/972-18 მოხსენებითი ბარათი - 1 ფურც.;
2. კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის 2018 წლის 21 მარტის N შ-10/1491-18 სამსახურებრივი ბარათი -1 ფურც.;
3. კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის 2018 წლის 21 მარტის N შ-10/1499-18 სამსახურებრივი ბარათი - 1 ფურც.

კომისიის ადმინისტრაციის უფროსი იოსებ ხარებავა

თბილისი, 0144 ქეთევან წამებულის გამზ./ბოჭორმის ქ. 50/18
ტელ.: +995 32 2921667, ფაქსი: +995 32 2921625; ელ-ფოსტა: post@gncc.ge; www.gncc.ge

ბ-ნ ბ. ზერიას

გთხოვთ განიხილოთ და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აწარმოოთ საქმისწარმოება

ბ. ზექაური
21.02.2018

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის თავმჯდომარეს,
ბატონ კახი ბექაურს

ასაკუ კომისიის აპარატის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებლის,
ნატალია ჯანელიძის

მოხსენებითი ბარათი

ბატონო კახი,

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 20 თებერვლის მდგომარეობით, კომისიის უწყებრივ რეესტრში რეგისტრირებული რიგი ავტორიზებული/ლიცენზირებული პირები არ ასრულებენ კანონისმიერ ვალდებულებებს, კერძოდ, არ წარმოადგენენ რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმებს და კომისიაში წარმოდგენილი გაანგარიშებების შესაბამისად გააჩნიათ რეგულირების საფასურის დავალიანება, იხ. ცხრილი:

ცხრილი

N	კომპანია	ს/კ	რეგულირების საფასურის დავალიანება წარმოდგენილი გაანგარიშებების შესაბამისად (ლარი)	რეგულირების საფასურის გაანგარიშების 1,9 ფორმის წარმოუდგენლობა
1	მადი	237092203	8 229,39	2017 წლის დეკემბრი, 2018 წლის იანვარი
2	ორბიტა-2005	205107935		2017 წლის დეკემბრი, 2018 წლის იანვარი
3	გლობალკომი	218081126		2017 წლის დეკემბრი, 2018 წლის იანვარი
4	ეარლინკი	417874508		2017 წლის ნოემბერი, დეკემბრი, 2018 წლის იანვარი
5	net4you	454407614	23,08	2017 წლის დეკემბრი, 2018 წლის იანვარი
6	გურია-ნეტი	433643667		2017 წლის დეკემბრი, 2018 წლის იანვარი
7	ქიზიყი	440389795		2017 წლის დეკემბრი, 2018 წლის იანვარი
8	ბექა	445450592		2017 წლის დეკემბრი, 2018 წლის იანვარი
9	GUDA.TV	140181172		2017 წლის ნოემბერი, დეკემბრი, 2018 წლის იანვარი
10	ჯეონეტი - (416316917)	416316917		2017 წლის დეკემბრი, 2018 წლის იანვარი
11	ჯოდო ტელეკომუნიკეიშენს	404491331		2017 წლის დეკემბრი, 2018 წლის იანვარი
12	დისკავერი ჯორჯია	405153667		2017 წლის ნოემბერი, დეკემბრი, 2018 წლის იანვარი
		სულ	8 252,47	

გთხოვთ, წარმოდგენილი ინფორმაცია შემდგომი რეაგირებისთვის გადასცეთ კომისიის აპარატის სამართლებრივ დეპარტამენტს.

დანართი: 14 ფურცელი.

პატივისცემით,
ნატალია ჯანელიძე
21/02/2018

ფაქტობრივი № 10/979-18
21 02 2018
1+14 ფურცელი

კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და სტრატეგიული

განვითარების დეპარტამენტის

უფროსის მოვალეობის შემსრულებელს

ქალბატონ ირინე ვერძეულს

კომისიის აპარატის სამართლებრივი დეპარტამენტის

წამყვანი სპეციალისტის

თამარ გოშუას

სამსახურებრივი ბარათი

ქალბატონო ირინე,

გთხოვთ, გვაცნობოთ შპს „დისქავერი ჯორჯია“ წარმოადგენს თუ არა სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებს.

პატივისცემით,

თამარ გოშუა

ᲛᲘ 0/14971 18
21 09 18
1

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული
კომისიის სამართლებლივი დეპარტამენტის
წამყვან სპეციალისტს

თამარ გოშუას

კომისიის აპარატის ბაზრის ანალიზისა და
სტრატეგიული განვითარების დეპარტამენტის
მოვალეობის შემსრულებლის ირინა ვერეულის

(პასუხი N10/1491-18 სამსახურებრივ ბარათზე)

სამსახურებრივი ბარათი

გაცნობებთ, რომ 2018 წლის 21 მარტის მდგომარეობით, ავტორიზებულ პირს- „დისქავერი ჯორჯიას“ 2017 წლის ოქტომბრიდან არ აქვს წარმოდგენილი სტატისტიკური ანგარიშგების ფორმები. აქვე გატყობინებთ, რომ კომპანია 2016 წლის ივლისიდან 2017 წლის სექტემბრის ჩათვლით წარმოადგენდა ნულოვან სტატისტიკური ანგარიშგების ფორმებს.

N10/1499-18
21 03 18